საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-686

19/09/2022

ქ. თბილისი

სს „სვანეთი ჰიდროს“ მდ. მესტიაჭალაზე 20 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მესტიაჭალა 1 ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „მესტიაჭალა ენერჯისთვის“ გადაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 19 სექტემბრის N 21/5388 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „სვანეთი ჰიდროს“ (ს/კ: 405021275) მდ. მესტიაჭალაზე 20 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მესტიაჭალა 1 ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის №2-969 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „მესტიაჭალა ენერჯის“ (ს/კ:405539252).

2. შპს „მესტიაჭალა ენერჯიმ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის №2-969 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა.

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, სს „სვანეთი ჰიდროს“ და შპს „მესტიაჭალა ენერჯის“.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „სვანეთი ჰიდროს“ და შპს „მესტიაჭალა ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ოთარ შამუგია

მინისტრი